

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(335 2024 წ. 1-15 მაისი) ღირსი 1 ლარი

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია

გაზეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ბიორბი ალაღაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერ ავთანდილ ბუღიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილთან ერთად, საგარეჯოში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციას გაეცნო.

საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე, იმედისა და თამარ მეფის ქუჩებზე მდებარე 13 მრავალბინიანი კორპუსის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება შენობების ახალი სახურავებით გადახურვა, ფასადების შეღესვა-შედგება, ფანჯრების შეცვლა. ასევე გათვალისწინებულია რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია.

სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ჯამური ღირებულება 3 068 059 ლარს შეადგენს.



ფაშიზმზე გამარჯვებიდან 80 წელი გავიდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბუღიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საგარეჯოს გმირთა მემორიალი და სოფელ პატარძელის საფარეო-თაიგულებით შეამკო და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.



საგარეჯო-ბაღიაშურის 17 კმ-იანი მაგისტრალის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში, შენდება 4 ზოლიანი, 17 კმ-იანი ჩქაროსნული გზა, რომელიც მოიცავს ახალ სატრანსპორტო კვანძს სოფელ ბაღიაშურთან, 4 ხიდს, 8 გზაგამტარ და 86 წყალგამტარ მილს

ახალი გზის მონაკვეთი გვერდს აუვლის 5 მკიდროდ დასახლებულ სოფელს – თოხლიაურს, მანავს, ჩაილურს, კაკაბეთსა და ბაღიაურს

ბაღიაურის კვანძთან თანამედროვე, უსაფრთხო საავტომობილო მოედანი მოეწყობა ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერებისთვის, ეს ხელს შეუწყობს რეგიონის მცირე ბიზნესის პროდუქციის რეალიზაციას

მიმდინარე სამუშაოები ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ სოხაძემ, კახეთში სახელმწიფო რწმუნებულ ბიორბი ალაღაშვილთან და საგარეჯოს მერთან ავთანდილ ბუღიაშვილთან ერთად დაათვალიერა



„ბიორგობა“ სოფელ ბიორბიშვინდაში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ ბუღიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ბიორბიშვინდაში გამართულ სახალხო დღესასწაულს დაესწრო. ავთანდილ ბუღიაშვილმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა და ბიორგობის დღესასწაული მიულოცა.

ღონისძიების ფარგლებში, არსენ მეოკიშვილის სახელობის ჭიდაობის ტურნირი მოეწყო. წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

ღონისძიება ადგილობრივი ანსამბლების და სოლო შემსრულებლების კონცერტით დასრულდა.



ქეთი ბრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ყურადღება კონკურსი!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს „ჩემი კუთხე“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს „ჩემი კუთხე“. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საგარეჯოში კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენახვაზე საპროექტო წინადადებები უნდა წარადგინონ.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, გარდა მუნიციპალურ დაფინანსებაზე მეოფი ორგანიზაციისა.

კონკურსანტს ერთი საპროექტო განაცხადის შეტანა შეუძლია. პროექტი უნდა შეი-

ცავდეს კულტურის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას და თანდართული უნდა აქონდეს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი.

კონკურსში გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს. პროექტის ბიუჯეტი 10 000 ლარს შეადგენს.

პროექტებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული კომისია შეაფასებს. განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 2025 წლის 1 ივლისი.

კონკურსანტებმა პროექტი უნდა გაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: kultura.sagarejo@gmail.com.

ინფრასტრუქტურა-2025

ქუჩები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **აშთანდილ გულიაშვილი** გიორგი ლეონიძის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა იუსტიციის სახლის ახალი ფილიალის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. უკვე დასრულებულია გზის საფარის, სანიაღვრე სისტემისა და დამცავი ჯებირების მოწყობა.

ავთანდილ გულიაშვილის განცხადებით, პროექტი ტერიტორიაზე მოქალაქეების კომფორტულ გადაადგილებას შეუწყობს ხელს.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი ბილაშვილმა**, ფრაქცია “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარესთან **იზანა ბაქიაშვილთან** ერთად, სოფლებში-გიორგიშინდასა და მზისგულში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა.



საცხოვრებელი სახლები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **აშთანდილ გულიაშვილი**, პირველ მოადგილესთან **ემზარ კუჭაშვილთან** და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ **ბექა ფიქიშვილთან** ერთად კახეთის გზატკეცილზე, იმედაშვილისა და თამარ მეფის ქუჩებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო და ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა.

ავთანდილ გულიაშვილმა მოსახლეობას პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები გააცნო. აღინიშნა, რომ პროექტი, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, ისე სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად ხორციელდება. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი ბილაშვილმა**, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან **ვალერიან ხუნაშვილთან** ერთად ქსაგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე მრავალბინიანი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია ადგილზე მოინახულა.



ახალი რეკონსტრუქციული სივრცე და სპორტული მოედანი სოფელ თოხლიაურში



წყალმომარაგება

წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ა.ა.ი.პ.საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის (დირექტორი ო. ბუზარიაშვილი) ტექნიკური ჯგუფის მიერ, სოფელ უჯარმაში, შიდა საუბნო გზებზე სასმელი წყლის საკომუნიკაციო სისტემის ამოცვლისა და დაქსელების სამუშაოები მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სოფლის იმ ქუჩებზე, სადაც დაგეგმილია მოასფალტების სამუშაოები, 800 გრძივი მეტრი ამორტიზირებული მილების ჩანაცვლება განხორციელდება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის 60% -ს სასმელი წყლით შეუფერხებლად მოამარაგებს.



*ქეთი ბრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი
მარი აზარიშვილი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრესსპიკერი*

სამანამანათლებლო ცხოვრება

როცა პროფესია ბიყვარს



ჩვენს პატარა, კოპია ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოკრძალებული ბუნებით, თითქმის „შეუმჩნეველი“ ხდებიან თანაქალაქელთა თვალთაგან, მაგრამ სწორედ ეს მოკრძალება და მორიდება მიიქცევს ყურადღებას და შენც რაღაცნაირად პატივისცემით იმსჯელები მის მიმართ. ამასთან, არის პროფესიები, რომლებიც თითქოს არ ჩანს თვალხიერად, არ „ყვირის“, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია სწორედ იმ სფეროსთვის, რაშიც ნამდვილ პროფესიონალს, ყოველდღიურად თავნადურულსა და დიდი პასუხისმგებლობით უხდება მუშაობა...

სწორედ ასეთი დახასიათება და კიდევ სხვა დადებითი შტრიხების დამატება ეკუთვნის საგარეჯოელებისგან საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ანალიტიკური სამსახურის სპეციალისტს **მეტიონი ხიზაშვილი-მანამანაშვილს**.

ქეთიმ სკოლა სოფელ გომბორში დაამთავრა, ზვიად მთების შვილს ვერც შეატყობთ ვერც სითამამეს, ვერც საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულას. ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერის ღია გოდერძიშვილის თქმით, ქეთი ყოველდღიურად დიდი რუდუნებით იმ საქმეს აკეთებს, რასაც საფუძვლად პასუხისმგებლობაც ეკისრება, საქმის უღალატობა, მაგრამ შრომატევადია, ნებისყოფას მოითხოვს – ეს არის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ფილიალების წიგნადი ფონდის დაკომპლექტება-დამუშავება და სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციების გაცემა მუნიციპალიტეტში არსებულ საბიბლიოთეკო ფილიალებში...

ქეთიმ სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უცხოური მეთოდის საცავის ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა, სადაც 1992 წლამდე იმუშავა. 1984 წელს ჩაირიცხა და 1989 წელს დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოლოგია-ბიბლიოგრაფიის სპეციალობით.

ქეთიმ 1992 წლიდან საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან იქ მიღებული საკმაოდ გამოცდილებით საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა ჯერ მეთოდური განყოფილების გამგედ და 2003 წლიდან დღემდე ანალიტიკური სამსახურის სპეციალისტია.

შეკითხვაზე სამსახურიდან იქნებ გაიხსენოთ ერთი ღამაზე დღე, ქეთი მასსუხობს: – ღამაზე დღე? როგორ უნდა შევაფასო დღეები, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემი სამსახური იმდენად მიყვარს, რომ ჩემთვის სამსახურში გატარებული ყოველი დღე ღამაზეა, საინტერესო, საპასუხისმგებლო, სხვაგვარად ვერც წარმოვიდგენია. ამასთან, ბიბლიოთეკაში ტარდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ყველაფერს ალამაზებს, და რაც მთავარია, ყოველ დღეს მიღამაზებენ ჩემი შვილები და შვილიშვილი. მათზე ზრუნვა მიხალისებს და მიღამაზებს ცხოვრებას. დიახ, როგორც ყველა ქალისთვის, ჩემთვის ოჯახი და სამსახური მთავარია. ასეა, ქალი საკუთარი თავისთვის თუ იცდისო: – როგორ არა, როცა ჩემი შვილების: მიხეილ ივანელაშვილის ახლადშექმნილ და მარიამ ივანელაშვილის პატარა, ღამაზ ოჯახებზე ვზრუნავ, ეს ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, დიდი ბედნიერება. ასევე სამსახურიც – როცა საქმეს სიყვარულით ემსახურები, როცა გსიამოვნებს შენი პროფესიული მოვალეობა, ეს ნიშნავს იმას, რომ საკუთარი თავისთვისაც ერთ ჩვეულებრივ დროს სიკეთე გაგიკეთებია, დიახ, დრო დაგიტოვია საკუთარი თავისთვის.

კალიბრაჟიის კოკულარიზაციისათვის ანბანის დიზაინერები

ბერბერულა „კალი“ ღამაზს ნიშნავს, „გრაფია“ – წერას. ესე იგი ქართულად – ღამაზად წერა. ქართველებს ღამაზე ანბანი რომ გვაქვს, სწორედ იმ კალიგრაფების დამსახურებაა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ეცნობოდნენ ერთმანეთის ხელწერას, ხვეწდნენ, მუდმივად ძიებაში იყვნენ – შეექმნათ რაღაც ახალი, ღამაზი, განსხვავებული და გამორჩეულად ინდივიდუალური და შეძლეს – ქართული ანბანი მართლაც უღამაზესია და განუმეორებელი.

აი, რას ამბობს კალიგრაფიულ ნაშრომზე კალიგრაფისტი **მარიონ მაისურაძე**: „კალიგრაფიული ნაშრომის უკანაც ყოველთვის დგას გამოცდილი ხელოვანი, რომელმაც შემოქმედებითად იშრომა, რათა ეს ნამუშევარი შექმნილიყო. ნამუშევრის უკან კალიგრაფის მთელი გამოც



დილება, არაერთი ცდა, აზრი და ემოცია დგას. თითოეული ასო, თითოეული მონახში გააზრებულია. თუ დამოუკიდებელი ნამუშევარში ამ ყველაფერს ამოიკითხავს. იგი მიხვდება, რომ კალიგრაფია ტექსტის მხოლოდ მექანიკურად და სუფთად გადაწერა არაა. იგი მიხვდება, რომ კალიგრაფია კალიგრაფია ტექსტის შინაარსს შეუსაბამა. შინაარსიდან მომდინარე ემოცია ნაწერის მხატვრულ იერში გამოხატა. სწორედ ეს არის ის, რაც კალიგრაფიას აქცევს ხელოვნებად: კალიგრაფი არ არის ღამაზად მწერალი მანქანა. იგი ერთნაირი ექსპრესიით არ გადაწერს შოთას სიბრძნესა და ბიბლიურ ჭეშმარიტებას, ილიას პუბლიცისტიკას და გალაკტიონის პოეზიას. კალიგრაფიული ნამუშევრიდან ტექსტის წაუკითხავადაც კი შეიძლება ამოიკითხოთ მთავარი სათქმელი: კალიგრაფიული ინტერპრეტაცია ავტორისეული ემოციისა“.

აბრამიშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი **არბილ ჯაბაძარი**) მიერ გამოცხადებული კონკურსმა, საუკეთესო კალიგრაფისტის გამოვლენის მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში **გაბრძნელება მე-4 გვერდსზე**

48 წელი საქმარელი საქმის სამსახურში

მანამანაშვილი მერვე საშუალო სკოლაში სწავლისას საოცარ სიყვარულს იჩენდა ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ. უყვარდა ლექსების, მხატვრული ლიტერატურის კითხვა. ხშირად აკითხავდა ბიბლიოთეკას, სადაც წიგნების არჩევანის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. უყვარდა თაროზე კომპილაციულ წიგნებში სასურველი წიგნის თვალთაგან ასეთივე სასიყვარულო შლიდა წიგნის თითოეულ ფურცელს და მანამდე ბიბლიოთეკაში მისულს ბიბლიოთეკარი ოლია საბაშვილი სიხარულით ხვდებოდა გოგონას, რომელიც ხშირად დიდი ხალისით და ინტერესით ეხმარებოდა გამოცდილ ბიბლიოთეკარს წიგნების ტექნიკურ დამუშავებაში. 1973 წელს დაამთავრა სკოლა. ერთი წელი მანამდე მეგნახელობის საბჭოთა მეურნეობის კომპარტიზაციის ახალგაზრდულ ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, თანატოლებთან ერთად უფლიდა, ესათუთებოდა ვაზს და სახლში დაბრუნებული, დედის დახმარების შემდეგ გვიანობამდე კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას. 1975 წელს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები – სხვაგვარად, სხვა პროფესიასაც ვერ აირჩევდა, სწორედამც რომ ბიბლიოთეკაში ის იღვწამლი სუნი მოსწონდა, რომელიც წლების განმავლობაში წიგნები ერთმანეთს „გადასცემდნენ“.

ზუსტად ორი წლის შემდეგ კაკაბეთის ახალგაზრდული ბიბლიოთეკაში „გამაწესეს“ საგარეჯოს კულტურის განყოფილებიდან. იმ პერიოდში, 70-იან წლებში და შემდეგ წლებშიც სოფელ კაკაბეთში ორი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. ერთიც სოფელ ვერხვიანში, სოფელი ვერხვიანი მაშინ კაკაბეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა. სამი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები ყველანაირად ცდილობდნენ საუკეთესო მომსახურება გაეწიათ წიგნის მოყვარულთათვის და რაიონის მასშტაბით ყველაზე საინტერესო ღონისძიებების გამართვითაც გამოირჩეოდნენ. ამასთან, ბიბლიოთეკარები ხშირად უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას.

2008 წელს ბიბლიოთეკები საერთოდ, თითქმის ყველა რაიონში გაუქმდა, ვერხვიანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კაკაბეთის სკოლის ბიბლიოთეკამ „შეიფარა“, კაკაბეთშიც ერთი ბიბლიოთეკა დარჩა. იმავე წელს ბიბლიოთეკის სიერცე, რომელიც სოფლის ადმინისტრაციულ შენობაშია დღესაც განთავსებული, გარემონტდა, შეივსო ინვენტარით, გადაეცა კომპიუტერით...

და დღეს საბიბლიოთეკო ცხოვრებას აქტიურად კვლავაც აგრძელებს მარიონ მახარაბიშვილი-მანამანაშვილი – კაკაბეთის საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტი. ჩვენი გაზეთის ნომრის სტუმარი ქალბატონი მარიონ სწორედ კაკაბეთში არსებული ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკის მკითხველების შესახებ გვესაუბრება:

– ყველაზე მეტად კაკაბელ მკითხველს კვლავ აინტერესებს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ-ლიტერატურული რომანები, ტარიელ ხარხელაურის, დიკა სალაყაიას პოეზია, გოდერძი ჩოხელის, გურამ დონანაშვილის შემოქმედება. წიგნების სერია „ჩემი თაობის არჩევანი“ თითქმის აკმაყოფილებს ჩვენი სოფლის მოსახლეობის ინტერესს თანამედროვე ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების მიმართ.



კაკაბეთის და ორივე ჩაიღურის საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან ერთად, ბიბლიოთეკას ჰყავს პატარა ასაკის დაწყებითი განათლების საფეხურის მოსწავლეები, ჩვენს ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობენ კაკაბეთის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები მშობლებთან ერთად. გარდა სასურველი ლიტერატურის შერჩევისა, ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებებში. ჩვენი ბიბლიოთეკის ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველები ჩემი ინიციატივით მოწოდებდნენ ექსპერსიებზე უფრო მეტად უმეგობრდებიან ერთმანეთს და უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ჩვენ უკვე ვიყავით მარტყოფის მამათა მონასტრის, ქართლში არსებული დედათა და მამათა მონასტრების, ყაზბეგში – გერგეთის ტაძრის მოსალაცად. ამით ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველი მშობლებთან ერთად ეცნობა საქართველოს ისტორიას, ეზიარება მართლმადიდებლურ მადლს. ახლა დაგეგმილი მაქვს ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის ჩარგაში წაყვანა, ვაჟ-ფშავლებს მშობლიური ადგილის მონახულება, ვაჟს შემოქმედების უკეთ გაცნობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სხვაგვარი სიყვარულით უყვარს და აინტერესებს ვაჟს შემოქმედება – მისი წიგნები ხელიდან ხელში გადადის... ჩვენს ბიბლიოთეკაში დღეისთვის 23380 ერთეული წიგნია, მათგან ყველაზე ხანდაზმული 1940 წელს გამოცემული ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეა“, 1948 წელს გამოცემული დანტე ალეგვირის „დღითაღრივი კომედია“...

– **ქალბატონო მარიონ, სოციალურ ქსელში ხშირად ვეცნობთ კაკაბეთის ბიბლიოთეკის მკითხველებთან ერთად ჩატარებულ, თქვენს მიერ მომზადებულ ღონისძიებებს, მაგრამ, ადამიანი წარმატებული ვერ იქნება, თუ მას ოჯახი გვერდში არ უდგას, არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მოახდინოს თავისი შესაძლებლობის რეალიზება და მით უმეტეს, სამუშაო საათების იქითაც...**

– რა გითხრათ, მკაცრ მეუღლე, ოთხი ვაჟი, ოთხი შვილიშვილი. გვაქვს საოჯახო მარანი „მკვდელი შვილები“, სადაც ჩემი მეუღლე და ჩვენი შვილები პირითადად დასაქმებული. მათ გვერდში ვარ მეც, რა თქმა უნდა. ჩემმა ოჯახმა იცის, როგორი დიდი შევება ჩემთვის და სულიერი საზრდო საბიბლიოთეკო ცხოვრება და ყველანაირად ვუძღვევართ ერთმანეთს მხარში.

– **წარმატებებს გისურვებთ!**



მანამანაშვილი მერვე საშუალო სკოლაში სწავლისას საოცარ სიყვარულს იჩენდა ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ. უყვარდა ლექსების, მხატვრული ლიტერატურის კითხვა. ხშირად აკითხავდა ბიბლიოთეკას, სადაც წიგნების არჩევანის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. უყვარდა თაროზე კომპილაციულ წიგნებში სასურველი წიგნის თვალთაგან ასეთივე სასიყვარულო შლიდა წიგნის თითოეულ ფურცელს და მანამდე ბიბლიოთეკაში მისულს ბიბლიოთეკარი ოლია საბაშვილი სიხარულით ხვდებოდა გოგონას, რომელიც ხშირად დიდი ხალისით და ინტერესით ეხმარებოდა გამოცდილ ბიბლიოთეკარს წიგნების ტექნიკურ დამუშავებაში. 1973 წელს დაამთავრა სკოლა. ერთი წელი მანამდე მეგნახელობის საბჭოთა მეურნეობის კომპარტიზაციის ახალგაზრდულ ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, თანატოლებთან ერთად უფლიდა, ესათუთებოდა ვაზს და სახლში დაბრუნებული, დედის დახმარების შემდეგ გვიანობამდე კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას. 1975 წელს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები – სხვაგვარად, სხვა პროფესიასაც ვერ აირჩევდა, სწორედამც რომ ბიბლიოთეკაში ის იღვწამლი სუნი მოსწონდა, რომელიც წლების განმავლობაში წიგნები ერთმანეთს „გადასცემდნენ“.

ზუსტად ორი წლის შემდეგ კაკაბეთის ახალგაზრდული ბიბლიოთეკაში „გამაწესეს“ საგარეჯოს კულტურის განყოფილებიდან. იმ პერიოდში, 70-იან წლებში და შემდეგ წლებშიც სოფელ კაკაბეთში ორი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. ერთიც სოფელ ვერხვიანში, სოფელი ვერხვიანი მაშინ კაკაბეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა. სამი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები ყველანაირად ცდილობდნენ საუკეთესო მომსახურება გაეწიათ წიგნის მოყვარულთათვის და რაიონის მასშტაბით ყველაზე საინტერესო ღონისძიებების გამართვითაც გამოირჩეოდნენ. ამასთან, ბიბლიოთეკარები ხშირად უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას.

2008 წელს ბიბლიოთეკები საერთოდ, თითქმის ყველა რაიონში გაუქმდა, ვერხვიანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კაკაბეთის სკოლის ბიბლიოთეკამ „შეიფარა“, კაკაბეთშიც ერთი ბიბლიოთეკა დარჩა. იმავე წელს ბიბლიოთეკის სიერცე, რომელიც სოფლის ადმინისტრაციულ შენობაშია დღესაც განთავსებული, გარემონტდა, შეივსო ინვენტარით, გადაეცა კომპიუტერით...

და დღეს საბიბლიოთეკო ცხოვრებას აქტიურად კვლავაც აგრძელებს მარიონ მახარაბიშვილი-მანამანაშვილი – კაკაბეთის საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტი. ჩვენი გაზეთის ნომრის სტუმარი ქალბატონი მარიონ სწორედ კაკაბეთში არსებული ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკის მკითხველების შესახებ გვესაუბრება:

– ყველაზე მეტად კაკაბელ მკითხველს კვლავ აინტერესებს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ-ლიტერატურული რომანები, ტარიელ ხარხელაურის, დიკა სალაყაიას პოეზია, გოდერძი ჩოხელის, გურამ დონანაშვილის შემოქმედება. წიგნების სერია „ჩემი თაობის არჩევანი“ თითქმის აკმაყოფილებს ჩვენი სოფლის მოსახლეობის ინტერესს თანამედროვე ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების მიმართ.

კაკაბეთის და ორივე ჩაიღურის საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან ერთად, ბიბლიოთეკას ჰყავს პატარა ასაკის დაწყებითი განათლების საფეხურის მოსწავლეები, ჩვენს ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობენ კაკაბეთის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები მშობლებთან ერთად. გარდა სასურველი ლიტერატურის შერჩევისა, ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებებში. ჩვენი ბიბლიოთეკის ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველები ჩემი ინიციატივით მოწოდებდნენ ექსპერსიებზე უფრო მეტად უმეგობრდებიან ერთმანეთს და უზიარებენ შთაბეჭდილებებს. ჩვენ უკვე ვიყავით მარტყოფის მამათა მონასტრის, ქართლში არსებული დედათა და მამათა მონასტრების, ყაზბეგში – გერგეთის ტაძრის მოსალაცად. ამით ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველი მშობლებთან ერთად ეცნობა საქართველოს ისტორიას, ეზიარება მართლმადიდებლურ მადლს. ახლა დაგეგმილი მაქვს ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის ჩარგაში წაყვანა, ვაჟ-ფშავლებს მშობლიური ადგილის მონახულება, ვაჟს შემოქმედების უკეთ გაცნობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სხვაგვარი სიყვარულით უყვარს და აინტერესებს ვაჟს შემოქმედება – მისი წიგნები ხელიდან ხელში გადადის... ჩვენს ბიბლიოთეკაში დღეისთვის 23380 ერთეული წიგნია, მათგან ყველაზე ხანდაზმული 1940 წელს გამოცემული ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეა“, 1948 წელს გამოცემული დანტე ალეგვირის „დღითაღრივი კომედია“...

– **ქალბატონო მარიონ, სოციალურ ქსელში ხშირად ვეცნობთ კაკაბეთის ბიბლიოთეკის მკითხველებთან ერთად ჩატარებულ, თქვენს მიერ მომზადებულ ღონისძიებებს, მაგრამ, ადამიანი წარმატებული ვერ იქნება, თუ მას ოჯახი გვერდში არ უდგას, არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მოახდინოს თავისი შესაძლებლობის რეალიზება და მით უმეტეს, სამუშაო საათების იქითაც...**

– რა გითხრათ, მკაცრ მეუღლე, ოთხი ვაჟი, ოთხი შვილიშვილი. გვაქვს საოჯახო მარანი „მკვდელი შვილები“, სადაც ჩემი მეუღლე და ჩვენი შვილები პირითადად დასაქმებული. მათ გვერდში ვარ მეც, რა თქმა უნდა. ჩემმა ოჯახმა იცის, როგორი დიდი შევება ჩემთვის და სულიერი საზრდო საბიბლიოთეკო ცხოვრება და ყველანაირად ვუძღვევართ ერთმანეთს მხარში.

– **წარმატებებს გისურვებთ!**



კალიბრაფიის კოკულარიზაციისათვის ანბანის დიზაინერები

დასასრული

ტის საჯარო სკოლების მრავალ მოსწავლეს გაუჩინა სურვილი – გამოეცადა საკუთარი თავი – რამდენად ლამაზად შეეძლო ისედაც ლამაზი ქართული ასო-ბგერების ქაღალდზე გადატანა. ზოგი მათგანი გასულ წელსაც იღებდა მონაწილეობას და უკვე გამოცდილებამიღებული თამამადაც გაუიდა კონკურსში. მათთვის ერთობ წამახალისებელი გახდა კონკურსის დროს, მუშაობის პროცესში საკლასო ოთახში (საგარეჯოს III საჯარო სკოლის შენობაში), კონკურსანტებთან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **აშოთანდილ ბუღიაშვილის** გამოჩენა, რომელიც თითოეულ კონკურსანტთან მივიდა, დააკვირდა მათი მუშაობის პროცესს, შეაქო და წარმატებები უსურვავა.

კონკურსში, ორი ასაკობრივი ჯგუფიდან გამოვლინდებოდა 3 - 3 გამარჯვებული, რომელთაც გააღაცემოდათ მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო

I ადგილი - 800 (რვაასი) ლარი

II ადგილი - 600 (ექვსას) ლარი

III ადგილი - 400 (ოთხასი) ლარი.

კონკურსანტებისათვის ნაყოფიერი მუშაობისათვის საკმაოდ კარგი პირობები იყო შექმნილი, რამაც მათი შესაძლებლობის გამოვლენაზე დადებითად იმოქმედა და კონკურსში მონაწილე პირველი ჯგუფიდან, სადაც VI-VII-VIII კლასების მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, **პირველი ადგილი სოფელ იორმუდანლოს საჯარო სკოლის** (დირექტორი **რეზანა იუსუფოვი**) მეშვიდეკლასელმა **მარიამ შამბათიშვილმა** დაიკავა, მეორე – **გიორგიწმინდის საჯარო სკოლის** (დირექტორი **მირი ჰიბა-ბეკაშვილი**) მეშვიდეკლასელმა – **ლელა კატალაშვილმა**, მესამე – **საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის** მოსწავლემ (დირექტორი **ხათუნა გვლიშვილი**) **მარიამ გუგუშვილმა**.

რაც შეეხება კონკურსში მონაწილე IX-X-XII კლასელებს, აქ **პირველი ადგილი გიორგიწმინდის საჯარო სკოლის** (დირექტორი **მირი ჰიბაბეკაშვილი**) მეოთხეკლასელმა – **მარი კეკელიძემ**, **მეორე ადგილი – საგარეჯოს I საჯარო სკოლის** (დირექტორი **მარია ხუბუაშვილი**) მოსწავლემ – **ანა მარუშაშვილმა**, **მესამე – საგარეჯოს III საჯარო სკოლის** (დირექტორი **ნატო ბუღიაშვილი**) მოსწავლემ **ნინო გუგუშვილმა**.



მარი კეკელიძე, გიორგიწმინდის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე. კონკურსში გამარჯვებული.

– **მარი, გილოცავთ კონკურსში პირველი ადგილის დაკავებას და საკმაოდ სოლიდური თანხის მოგებას! მარი, დაახლოებით რა ასაკიდან დაინტერესდით ასოების ლამაზად მოხატვისთვის?**

– ხელთახანა ჩემში ინტერესს ბავშვობიდან იწყებდა, ასოების ლამაზად მოხატვით დაახლოებით მესამე კლასიდან დაინტერესდით?

– **თუ გახსოვს პირველი ტექსტი, რა იყო?**

– პირველი ტექსტი, რომელიც კალიგრაფიულად გავაფორმე განსაკუთრებულად მახსენდება, ეს იყო გალაკტიონ ტაბიძის „მე და დამე“

– **ვინ ნახულობს და თუ გაძლევს რაიმე რჩევას?**

– ჩემს ნაწერს ბევრი ადამიანი ნახულობს, ყველაზე დიდი გულშემატკივრები ჩემი მშობლები არიან. რჩევებს ჩემი დამრიგებელი ნანა დარისპანაშვილი, ქართულის მასწავლებელი მარიამ კუჭუაშვილი და სკოლის დირექტორი მერი ჭიაბერაშვილი მაძლევენ.

– **სად ნახე პირველად ტექსტი, რამაც დაგაინტერესა და კალამი და საკუთარი შესაძლებლობა გამოსცადა?**

– ტექსტი, რამაც დამაინტერესა სოციალურ ქსელში შემხვდა, ეს იყო მონაზონი ათანასეს ხელნაწერი, სწორედ მაშინ გამოეცადა საკუთარი თავი

– **რა საგანი გაინტერესებს ყველაზე მეტად?**

– საგნებიდან ყველაზე მეტად ქართული ენა და ლიტერატურა მაინტერესებს, რადგან ვფიქრობ რომ ადამიანურ დირეგულდებებთან ყველაზე ახლოს დგას და წვდობა ადამიანის ყოფით არის.

– **არჩეული გაქვს თუ არა პროფესია? რატომ?**

– პროფესია არჩეული მაქვს – იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარებას ვაპირებ, რადგან ბავშვობიდან ეს სფერო მიზიდავდა

– **სოფელში ვინ არის თქვენთვის ყველაზე ავტორიტეტული ადამიანი?**

– კონკრეტულად ერთი ადამიანი არ მყავს ამორჩეული, თუმცა, გამოვარჩევი ჩვენი სოფლის სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით მოეწვენენ უნივერსიტეტებში და ასახელეს ჩვენი სოფელი?

– **მეგობრობაში რას აფასებ?**

– მეგობრობაში ყველაზე მეტად ერთგულებასა და გულწრფელობას ვაფასებ, რადგან ეს ორი ფენომენი უერთმანეთოდ წარმოუდგენელია მგონია.

– **გაიხსენ ყველაზე ლამაზი დღე...**

– სკოლაში განვიღო წლებს თუ გავიხსენებ ყველაზე შთამბეჭდავი ალბად სკოლის პირველი დღე იყო, ახალი გარემო, ახალი საწყისები, ახალი ურთიერთობები და რა თქმა უნდა წარმატებული მომავლის ახალი შანსი.

– **გლოდი კონკურსში გამარჯვებას?**

– კონკურსში გამარჯვებას ველოდი, თუმცა არ მეგონა თუ პირველ ადგილზე გავიდოდი

– **მარი, რას იყიდი ჯილდოთი?**

– მოგებული ჯილდოთი მინდა სიმბოლური საჩუქარი გადაეცემა ჩემს მშობლიურ სკოლას დარჩენილი კი სამხატვრო ნივთებს შევიძინე.

– **წარმატებებს გისურვებთ. ბედნიერებაა – შენი ნიჭით და უნარით ამდენი ადამიანი გაახარო!**

– მადლობა!

მირი ჰიბაბეკაშვილი – გიორგიწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი:



– **იმაზე** დიდი სიხარული და სიამაყის განცდა არ არსებობს, როცა სკოლის მოსწავლე სკოლის გარეთ წარმატებული ხდება, როცა გარკვეულ საზოგადოებაში გახშირდება სკოლის სახელი. ამ მხრივ, მართლაც საამაყო გვაქვს. დიახ, სოფელში, სკოლაში იზრდებიან მომავალი თაობები, რომლებიც თავიანთ სიტყვას ამბობენ მშობლიური სოფლის სახელის წარმოსაჩენად, ცდილობენ წარმატებული შედეგი პქონდეთ, ახდენენ შესაძლებლობების რეალიზებას. აპრილის ერთ მშენიერ დღეს ჩვენი სკოლის ორმა მოსწავლემ მართლაც გვახსენა. „დღეა ენის“ დღესთან დაკავშირებულ მუნიციპალიტეტში მიმდინარე კალიგრაფიის კონკურსში პირველი ადგილი მარი კეკელიშვილმა დაიკავა, მეორე – ლელა კატალაშვილმა. ორივე ჩვენი სკოლის „საუნჯე“. თავიანთ სკოლელებთან ერთად, მარი წელს ამთავრებს სკოლას და ოქროს მედლის კანდიდატია, ერთობ მოწესრიგებული, ნიჭიერი, აქტიური, შემოქმედი გოგონაა. სკოლაში ღონისძიება არ იმართება, სადაც მარი მონაწილეობას არ იღებდეს და მოდიანად არ ჩაერთოს სამზადისა თუ ღონისძიების მსვლელობაში. ბავშვის ნიჭზე მის მიერ გაფორმებული პიძის ტექსტი მოგვითხრობს, აქტიურობს მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებებში. რაც შეეხება კალიგრაფიას, მართლაც ქართული სული ჩანს მასში, ის სიღამაზე, რაც ქართულ ასოებს, სიტყვებს აქვთ.

ლელა კატალაშვილი მეშვიდეკლასელია. ერთობ ნიჭიერი, ჯერჯერობით მორიდებულ გოგონაა, უამრავი დადებითი თვისებით აქვს.

ვულოცავ მარის და ლელას ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ!

ნანა ღარსიპანაშვილი – მარი კეკელიშვილის კლასის დამრიგებელი:



– **მარი** ამჟამად მეთორმეტეკლასელია. მისი კლასის დამრიგებელი ვარ V კლასიდან. მარის გაცნობიდანვე მასში შევამჩნიე ყველა ის დადებითი თვისება, რაც უნდა ახასიათებდეს მოსწავლეს პატარაობიდან. V კლასიდან ვაკვირდები და იგი არის ძალზე მოწესრიგებული, პასუხისმგებლობით სავსე, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, უყვარს და ვიტყვი თამამად, რომ ეხერხება ხატვა, ცეკვა. ყველა დამეთანხმება, რომ მარი ყველა საგანში ძლიერია, როგორც პედაგოგიკურად დისციპლინებში, ისე მათემატიკურში. აქტიურობით გამოირჩევა სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების განმავლობაში მონაწილეობს მრავალ ისეთ პროექტში, რომელიც ჩვენი სასკოლო ცხოვრების საზღვრებს სცილდება. გასულ სასწავლო წელს გუნდთან ერთად საკმაოდ დიდ წარმატებას

ბეჭდის მიღწევა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ მოწყობილ პროექტ „ტინების ბრძოლაში“ და რეგიონულ ტურში გუნდთან ერთად გავიდა, აქტიურობდა „მანსანკანებში“, სოფელ მანაში „გოგონათა მარაში“ გასულ წელს მეთორმეტეკლასელ გოგონებთან ერთად მონაწილეობდა „ქალთა გაძლიერების“ პროექტში და ამ პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის მას თბილისში, სასტუმრო „სტამბაში“ სერტიფიკატაც გადასცეს.

სულ ახლახან კი სკოლა კიდევ ერთხელ შეირხა სიხარულის ტალღით. მარიამმა ხომ პირველი ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა კალიგრაფიის კონკურსში. მას შესაბამისი სიგელი და მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული ჯილდო გადაეცემა. ეს სკოლის დიდი წარმატებაა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის და იმედი გვაქვს საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული წარმატებული შედეგებით შეუდგება პროფესიის მისაღებად ცოდნის მწვერვალების დაპყრობას. წარმატებებს ვუსურვებთ მარის.

მარი კუჭუაშვილი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:




– **მარის** V კლასიდან ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ბავშვობიდან გამორჩეული იყო არა მარტო სწავლით, არამედ კლასგარეშე აქტიური საქმიანობითაც. უყვარს კითხვა. ჩვენს სკოლაში გვაქვს მკითხველის კლუბი, რომლის აქტიური წევრია მარი. გასულ წელს კალიგრაფიის კონკურსში მარიამმა II ადგილი მოიპოვა, ჯილდოდ მიღებული 50 ლარით სკოლის მკითხველის კლუბს 3 წიგნი შეუძინა საჩუქრად. თითოეული სიტყვის ლამაზად დაწერაში სულსა და გულს დებს, ჩვეულებრივი ნაწერიც კი მარის გამორჩეული და ლამაზი აქვს.

მეგობრებთან, კლასელებთან ურთიერთობაში დინჯია, თითოეულ სიტყვას „წონის“, გაწონასწორებული, კეთილშობილი პიროვნებაა.

მარის ხელთ გვაქვს სკოლაში ბევრი რამ გაფორმებული. სკოლის ფოიეში მისი ხელით დაწერილი, ლამაზად გაფორმებული პიძის გვაქვს.

მარი V კლასიდან წარჩინებული მოსწავლეა და იმედი მაქვს ასე გააგრძელებს შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

ნანა გუგუშვილი – მეშვიდე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:



– **ლელა** კატალაშვილი V კლასიდან გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, ამ პატარა გოგონას საოცარი პასუხისმგებლობის უნარი აქვს, ყოველივე მოწესრიგებულია და გაკეთილზე აქტიურად სვამს გონივრულ, სააზროვნო კითხვებს. დამოუკიდებლად მუშაობა შეუძლია დიდი ნებისყოფით. მაგრამ, ამ პატარა გოგონას ჯერჯერობით აქვს ერთი „ნაკლი“ – არ უყვარს თავის გამოჩენა, თავისი ნიჭის წარმოჩენა, მაგრამ ამ კონკურსში გამარჯვებამ იმხელა სტიმული მისცა, რომ დამპირდა, მომავალში ყველანაირად შეეცდება თავი წარმოაჩინოს, გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა და სკოლაც ასახელოს.



იორმუდანლოს საჯარო სკოლის (დირექტორი რეზანა იუსუფოვი) მეშვიდე კლასის მოსწავლემ მარიამ შამბათიშვილმა კალიგრაფიის კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა.

რეზანა იუსუფოვი – იორმუდანლოს საჯარო სკოლის დირექტორი:



– **ბასში** წლის აპრილში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით „დღეა ენის“ დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ კონკურსში – „ქართული კალიგრაფია“, იორმუდანლოს საჯარო სკოლის 21 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. მარიამ შამბათიშვილმა ამ კონკურსში II ადგილი დაიკავა ფულადი პრიზით.

მიმდინარე წლის აპრილში კი იორმუდანლოს საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი სამ ეტაპად, 60 მოსწავლიდან შეირჩა 14 მოსწავლე. აქედან ექვსი საპრიზო ადგილი და სიგელი გადაეცა იმ მოსწავლეებს, რომელთა ნაწერიც საუკეთესო იყო. დანარჩენებს გადაეცათ წარმატებული მონაწილის სიგელი.

ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი სკოლიდან წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ სამსახურის ინიციატივით კვლავ ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, სადაც ჩვენი სკოლიდან 9 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას და მეტად სასიხარულოა, როცა გავიგეთ ჩვენი სკოლის მეშვიდე კლასელმა, უნიჭიერესმა მარიამ შამბათიშვილმა პირველი ადგილი აიღო თანატოლებს შორის.

ლალა გუგუშვილი: იორმუდანლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

– **ჩემი** მოსწავლეებიდან ოთხი იღებდა კონკურსში მონაწილეობას, ასია მუსტაფაევა, მადინა კურბანოვა, ეთერ ალიევა და კონკურსში გამარჯვებული მარიამ შამბათიშვილი. მე მას მეორე კლასიდან ვასწავლი. მთელი კლასი და მარიამიც ქართული ენის სახელით თაყვანდებლად იყო ძალიან მშვიდი და ყურადღებიანი. გავლენა იქონია პანდემიამ. ბევრი ფაქტორი ხელს გვიშლიდა გაკვეთილის სრულყოფილად ჩატარებაში. მარიამს უყვარს საქართველო და ქართველები. მისი სახელიც ქართულია. მას პყავს ძმა მეოთხე კლასელი. ისიც ჩემი მოსწავლეა. მას პირველი კლასიდან ვასწავლი. მისი ნაწერიც საუკეთესოა. სამი წელია ქართული ენის კათედრას ეხელმძღვანელობ. ყოველ წელს ვატარებ კალიგრაფიის კონკურსს, რის შედეგადაც ბავშვები მოტივირებული არიან და გაიუმჯობესეს

ნაწერები. მარიამს უყვარს კითხვა. ფიქრობს, რომ თანხას, რომელსაც მერი გადასცემს, წიგნებს შეიძინოს და სახლში საკუთარი ბიბლიოთეკა ექნება. ამჟამად ის დადის ბიბლიოთეკაში და სარგებლობს მათი წიგნებით. მე მინდა აღვნიშნო რომ ეს ღონისძიება – მერიის მიერ დაგეგმილი მოტივაცია ყველა სკოლისთვის და ყველა მოსწავლისთვის. **მადლობა ბატონ ავთანდილ გულიაშვილს ასეთი ყურადღებებისათვის და მოსწავლეების მიმართ გამოჩენილი წამახალისებელი ჯილდოებისთვის.**



„კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, კეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?“ ნინოწმინდელი „ელიტ პიაში“



პატარა, ორი ძმის „საპატრონებელ“, უმცროსი დის მიერ შექმნილი „სამყარო“ სულაც არ აკვირვებდათ ბიჭებს, პირიქით, ეხმარებოდნენ, ხელს უწყობდნენ მეტი დრო სიმღერისთვის დაეთმო, შეექმნა „სცენა“, სხეულზე რაღაც მატერიალისგან სცენაზე გამოსასვლელი კაბები შემოეხვია, ჩაეცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები... ბიჭებს მხოლოდ ის ადარდებდათ, რაღაცნაირად მოწყვნილი, დარდიანი, სევდიანი რომ დაკრავდა პატარა ნინის ნამღერს...

დრო გადიოდა, ნინი ნელ-ნელა ხეწდა



თავის „რეპერტუარს“, ნელ-ნელა იდგამდა ფეხს დიდ სცენაზე გამოსასვლელად, თორემ, მანამდე?! არც ნინოწმინდის საბავშვო ბაღის კედლებს და არც ნინოწმინდის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზს ეკლდა ღონისძიებების მსვლელობისას ნინის სიმღერები. ერთი მიზანი ჰქონდა დასახული – მამის სულის გახარება უნდოდა, აი, იქ, სულეთში, სამი შვილისა და შვილებზე გადაგებული მეუღლის ცრემლჩამდგარი თვალებით დამტკვებულს. იცოდა ნინიმ, განა არ იცოდა, რომ მამა ზეციდან დაჰყურებდა და მისი თითოეული წარმატებით ხარობდა მისი სული, მამის ნაყიდი კაბაც იმ კონცერტზე ჩაუტყვნილი დარჩა ნინის – მამა მანამდე გარდაიცვალა...

დღედას, მარეხი თედიაშვილს ერთი წუთით არ უფიქრია – მოედუნებინა ნინის ნიჭისადმი ყურადღება. პირიქით, ამხნევებდა, უწონებდა, ზოგჯერ შენიშვნებსაც აძლევდა და ძმებთან ერთად ნინის წარმატებებისკენ უბიძგებდა. სწორედ ასეთ დღეაზე აქვს ნათქვამი მწერალ ოტია იოსელიანს: „დღეა მარტო დღეა არაა! ყველაფერია, რაც ამქვეყნისათვის გვაკავშირებს, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რასაც სული უდგას და მზე უცქერს“... დიახ, მარეხი ზუსტად ასეთი დღეა გამოდგა მამით ობოლი სამი შვილისთვის და განსაკუთრებით ნინისთვის. და აი, შედეგიც...

ნინი ორკოწმნელმა აპრილის თვე ორმაგად გაგვიპრილა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებით. რატომ?! მთელი საქართველო ზეიმობდა და დღესაც გრძელდება ეს საზეიმო განწყობა – ნინი კონკურს „ნიჭიერის“ ოქროს სპონსორ „ატლანტ დეველოპმენტს“ რჩეული გახდა! ნინის, ამ ერთი ცილა გოგონას თბილისში ბინა აჩუქა სამშენებლო კომპანია. რაში? ყველას კარგად დაგვა-მასსოვრდება, როგორ დაიპყრო ნინიმ არა მარტო „ნიჭიერის“ ჟიურის თავმჯდომარისა და წევრების გულები, და არა მარტო მსმენელთა დარბაზი, არამედ საქართველო, ტელეეკრანებთან მიღურსმული ემიგრანტი გულშემატკივარიც. ნინის სიმღერამ, ნინის ნამღერმა, მისმა გულიდან და სულიდან წამოსულმა ზღვა სიყვარულმა მთიდან მოვარდნილი ნაკადულივით მსმენელთა სულზე ბამდე ფრანგული, ქართული სიმღერების სიტკბო და საამურობა მოიტანა.



ერთი დღემდე უწინარი პოეტი, ახალგაზრდა ბიჭი – ალექსანდრე მიშელაშვილი ამბობს: „უბამოდ დარჩენილი გოგო ჩამქრალ გაზაფხულს ჰგავს“... კი, ნინი ორკოწმნელი აპრილის ამ ღამეზე დღემდე ჩამქრალ გაზაფხულს ჰგავდა, მაგრამ იმ დღეს ჩვენ, მაყურებელმა და შემდეგ დღეებშიც ნინი ვნახეთ ახლადგამოდიებული, ყინვას, თოვასა და ნამქერს გამოქცეული გაზაფხული, რომელმაც ჩვენც სიხარულით ავგვიფორიაქა სული და გული, გაგვიკაშაშა აპრილ-მაისი...

ვინც ტელეეკრანზე ნინის და დედამისს ხედავდა, ყველა მიხედვობდა და დარწმუნდებოდა – დიდი სიხარულით გაციისკოვნიებული, მაგრამ ცრემლებით დასველებული სახეები რამხელა სიხარულს, რამხელა თანადგომას, რამხელა სითბოს და სიყვარულს გრძნობდა დარბაზიდან და ჟიურის წევრებიდან, თავად კონკურსანტებისგან...



მილოცვა მილოცვას მოსდევდა, ერთი ტელეკომპანიიდან მოწვევა მეორეს მოსდევდა და ნინი ემოციებს ვეღარ მალავდა... უხარია, უხარია, – იცის, მამის სული ზეცაში ზეიმობს, იცის, მამას იმიერში ყოფნა სულაც არ ეადვილება, მით უმეტეს ახლა... მაგრამ...

ნინოწმინდის საჯარო სკოლამ ხომ საოცარი შესვენდრა მოუწყო, კინაღამ ცრემლები აღვრევინეს ამხელა სითბოს და სიყვარულის შემხედვარეს... დიახ, ჩვენ გვყავს ჩვენი პატარა ელიტ, ელიტ პიაში, ფრანგი მომღერლის სიმღერების გამცოცხლებელი...

მაგრამ ნინის არასოდეს დაავიწყდება კონკურსის წინა დღეებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის მიერ სივლის გადაცემა და გამარჯვებისკენ გზის დალოცვა, კიდევ გამართულა მისი იმედები...

ნინის ამხელა სიყვარულმა კიდევაც დიდი სტიმული მისცა მომავალი გამარჯვებებისადმი სწრაფვისკენ! ეს რა არის, კონკურს „ნიჭიერში“ გამარჯვება – საწინდარი იქნება შემდგომი – წარმატებებისკენ!

მაშ წარმატებებისკენ სრული სულით, ნინი!

ნინი, გილოცავთ გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ მეითხველთა სახელით წარმატებებს გისურვებთ და ეკლავაც ველით შენგან სიურპრიზებს – სიკეთის, სიხარულის, სიყვარულის!

გაზეთის მომავალ ნომერში შემოვთავაზებთ კონკურს „ნიჭიერში“ გამარჯვებულ ანსამბლ „პატარა გარეჯელების“ შესახებ სტატიას

ცოტა რამ ქართული და გარეჯული ფეხბურთის ისტორიიდან

ზუსტად არავინ იცის, თუ სად და რა როდის ჩაისახა ფეხბურთი, თუმცა, მართალია, როგორც ამბობენ, XIX საუკუნეში, დიდ ბრიტანეთში არსებობდა, მაგრამ არსებობს მტკიცებულება, რომ რაღაც ფეხბურთის მსგავსს ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში თამაშობდნენ, თანაც, რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე იულიუს კეისრის ლეგიონერები ბრიტანეთში „პარპასტუმს“ – ბურთაობის რომაულ ნაირსახეობას.

ბურთის თამაში ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ერთგვარი გამოძახილია, რადგანაც ბურთი მზის სიმბოლოდ აღიქმებოდა, მისი მოხვეჭა სამომავლოდ მსუქე შემოდგომის გარანტიას იძლეოდა.

საქართველოში ფეხბურთი პირველად თურმე, ფოთის მოსახლეობას ინგლისელმა მეზღვაურებმა აჩვენეს თავად მოაწვევს მოედანი და იქ მართავდნენ თამაშებს. ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ ინტერესით და გაკვირვებულები უყურებდნენ ინგლისელების თამაშს და შემდეგ თავდაც მონიღომეს ფეხბურთის თამაში, რომლის თამაშის წესებსაც ინგლისელი მეზღვაურები ასწავლიდნენ. სულ მალე ნავსადგურის ფოთელმა მეზღვაურებმა პირველი გუნდიც შექმნეს და ხშირადაც ეთამაშებოდნენ ფოთის პორტში ჩამომდგარი გემების მეზღვაურებს. 1905 წლის რევოლუციამ დროებით დააეწია ფოთელებს ფეხბურთი.

და აი, ნიკოლოზ ნიკოლაძის შვილმა – გიორგი ნიკოლაძემ გერმანიიდან საქართველოში დაბრუნებულმა პირველი ორგანიზებული საფეხბურთო კლუბი ჩამოაყალიბა. მაგრამ, მისი გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, ერთ წელიწადში გუნდი დაიშალა.

მაგრამ 1910 წელს ფოთში ჩამოსული დონბასელი ფეხბურთელები მაღალი კლასისა და სათამაშო რეპუტაციის მიუხედავად, ფოთში დამარცხდნენ. მანამდე ენთუზიასტები – მაგინესი, ჩისტიაკოვი, ზივერსტი, კვაჭაძე, პაიჭაძე გუნდს დიდი რუდუნებით აყალიბებდნენ და წვრთნიდნენ. ამას თან დაერთო საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ბურთები, სპორტული ტანსაცმელი და და გუნდმა ფეხბურთის კლუბის სახეც მიიღო... და დაიწყო საერთაშორისო თამაშები უცხოელი მეზღვაურების კლუბებთან. სწორედ ფოთელთა პირველ თაობას მიეკუთვნებოდნენ ვალოდია და შალვა გოგინავეები, ვიქტორ და იოანა ყურუები, გრიშა და ვანო ხორავეები.



1913 წელს ფოთის გიმნაზიაში შეიქმნა ორი საფეხბურთო კლუბი. ერთი იყო „კოლხეთი“, სადაც მხოლოდ ქართველები თამაშობდნენ და მეორე – ინტერნაციონალური, მაგრამ გაჩაღებულმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ქალაქში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

ომის დასრულების შემდეგ, 1918 წელს ფოთში უკვე რამდენიმე კლუბი შეიქმნა – რემედესი, ურანი, ნავსადგურისა და რკინიგზელთა გუნდები. ისინი საქართველოს სხვადასხვა საფეხბურთო გუნდებს ხშირად დიდი ანგარიშით ამარცხებდნენ.

რაც შეეხება თბილისში საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბებას, ოფიციალურად აქ 1906 წელს ჩამოყალიბდა „ბურთის ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი, სადაც ფეხბურთის გასართობად თამაშობდნენ, მაგრამ მეფის რუსეთმა, 1907 წელს ოფიციალურად მოითხოვა კლუბის გაფორმება, რადგან რუსეთის იმპერია შიშობდა – ფეხბურთს ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური იდეოლოგია და დამოუკიდებლობის სურვილი არ გაეჩინა.

და აი, 1907 წლის 23 თებერვალს, რუსეთის იმპერიის თანხმობით, თბილისში შეიქმნა პირველი საფეხბურთო გუნდი „კომეტა“, მაგრამ ხალხში პოპულარობა ვერ მოიპოვა. 1908 წელს ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი „სოკოლო“. შემდეგ წლებში კი თბილისის სამხედრო სკოლებმა და სასწავლებლებშიც შეიქმნა ფეხბურთის გუნდები. ოფიციალური პირველი მატჩი თბილისში 1911 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდა – თბილისის „სოკოლოსა“ და სხვადასხვა გუნდების ფეხბურთელების ნაკრები დაუპირისპირდნენ. „სოკოლომ“ გაიმარჯვა და აქედან იწყება ქართველების ფეხბურთით დაინტერესება.

1912 წლის 26 სექტემბერს თბილისში პირველად ჩატარდა ქალაქის პირველობა ფეხბურთში.

1918-1921 წლებში საქართველოში ასამდე გუნდი მაინც არსებობდა და დასანანია, რომ იმ პერიოდში ვერ შეიქმნა ერთიანი საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ფიფას წევრი გამხდარიყო.

1924 წლისთვის საქართველოში უკვე 120 გუნდი იყო. ზოგიერთ მათგანს არც მწვრთნელი ჰყავდა და არც მუდმივი საგარეჯო ადგილი გააჩნდა.

1925 წელს საქართველოში გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი 6 გუნდის მონაწილეობით. ფინალში თბილისის ნაკრებმა სძლია აფხაზეთის ნაკრებს (3:1).

1925 წლის ნოემბერში შეიქმნა თბილისის „დინამო“, რომელიც 1936-1989 წლებში საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა სსრკ-ს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში.

1964 წელს ტაშკენტში გამართულ ოქროს მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს – 4:1 დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“. სსრკ ჩემპიონატი თბილისის დინამომ 1978 წელსაც მოიგო, 1981 წლის 13 მაისს კი ევროპის თასების მფლობელთა თასი.

1990 წლის 15 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. 1992 წლის 25 თებერვალს ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერ დროებით წევრად მიიღო, შემდეგ კი 3 ივლისიდან – მუდმივ წევრად. 1993 წლის 17 ივნისიდან – ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირის (UEFA) მუდმივ წევრად.

საბარჯულოში პირველი საფეხბურთო გუნდი „ტექნიკოსი“ (შემდეგ „გარეჯი-1960“) 1960 წელს ჩამოყალიბდა მწვრთნელ ბაჩი ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. გუნდში ირიცხებოდნენ: მიტა ჯაბადარი (პირველი კაპიტანი, შემდეგ წლებში გუნდის მწვრთნელი), ზაურ ბაღდასარი (ელისბარაშვილი), ზაურ რევაზიშვილი, ჯემალ მღებრიშვილი (მეკარე), ოთარ (ლოკი) სულიკაშვილი, გივი ტაბატაძე, გელა ლაფაჩიშვილი, თამაზ (სონა, გარინა) სონიშვილი, როინ კუჭუაშვილი, უშანგი (შიშინა) ქურხული, სულიკო ზუკაკიშვილი, გრიგოლ ქარსაულიძე (ვიცე-კაპიტანი), რამინ მარტაშვილი.

მეორე თაობა: მწვრთნელი გიორგი ჭუმბურიძე, ოთარ (ტიდა) ჭიაბერაშვილი, რეზო გოცირიძე, ფასა ჭიკარტაძე, ოქროცვარიძე, რომან (პელე) ილაური, სპირიდონ ოღრაბიშვილი, ვოვა ხარებოვი, ზაურ შარტავა, გიზო ჩანტლაძე, მერაბ ნარიმანიშვილი, ლუზო მღებრიშვილი.

1971 წელი: III თაობა: მწვრთნელი ალიოშა კვერნაძე, ტრისტან ტაბატაძე, დათო მგელიშვილი, ვახტანგ დევდარიანი, ელგუჯა სილაგაძე, ანატოლი კვიატოვსკი, გივი მათიაშვილი, ელგუჯა კონიაშვილი, ნუგზარ იმედაშვილი, ზაურ კონიაშვილი, ვანო დემეტრაშვილი, ედვარდ ალექსაშვილი, შოთა (კიტრა) სიბოშვილი, როლანდ ბერიძე (მეკარე), სულიკო სტეფანიშვილი, ნიკო ბუხარიაშვილი, ზაურ დავითაშვილი, მიშა გულისაშვილი, თენგიზ გოშაძე.

მიტა ჯაბადარი (მწვრთნელი), ვალერი კობახიძე, სანდრო იორამაშვილი (მეკარე), ბიჭიკო სულიკაშვილი, კაკო მეკოკიშვილი, როინ მეკალაშვილი, ბიჭიკო ხებრელაშვილი, თემურ (ლოჭო) ყაფრიშვილი (ჩაილური), ზაზა ქურთიშვილი, რეზო ბუხარიაშვილი (მეკარე), თემურ ჩერქეზიშვილი, თემურ კერატიშვილი სოსო არავიაშვილი, გივი გრატიაშვილი, ძმები თევდორაშვილები.

გივიკო სულიკაშვილი, გრიგოლ ქარსაულიძე, ნუგზარ იმედაშვილი

მადლობის ბარათი საქართველოს სამსახურში



ამ დღეებში საგარეჯოელმა **ლადო გომიბაშვილმა** და **კონსტანტინე (კოტე) ზაბაძემ** დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და სასწავლო ბატალიონის ხელმძღვანელობიდან მადლობის ბარათი მიიღეს, სადაც წერია:

„ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვანდეთ მისი, როგორც მომავალი ოფიცრის აღზრდა. მადლობას გიხდით გამოცხადებული ნდობისათვის და გისურვებთ ჯანმრთელობას.“

ლადო ზაბაძე და **კონსტანტინე გომიბაშვილი**, დღეს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მესამე კურსელმა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდები ისე ჩააბარა მის მიერ 15 წლის ასაკში არჩეული პროფესიის დასაუფლებლად, რომ მშობლებისთვის – ოჯახში არაფერი უთავსო მომავალი პროფესიის შესახებ. გამოცდები საკმაოდ წარმატებულად ჩააბარა – მიზეზიც და მიზეზიც ერთი იყო – საქართველოს თავდაცვის სამსახურისთვის მთელი ცხოვრების მიძღვნა. დაწყებითი კლასებიდანვე დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიის შესწავლით, მადლად

კლასებში კი ისტორიის მასწავლებელმა მარინე გულისაშვილმა მართლაც გულდაგულ დააინტერესა საქართველოს წარსულის დრამა და შემოქმედებითად გაცნობა და ხშირად წერდა თემებს, პატარ-პატარა ნარკვევებს, ჩანახატებს ისტორიულ თემებზე და ტექსტს ნახატს ურთავდა. ალბათ იმ ასაკში ისე არაფერი დაინტერესებულა მეფე დავით აღმაშენებლის ცხოვრების ეპიზოდებით, როგორც დათო, არ დარჩენია წიგნი წაუკითხავი, სადაც დავით აღმაშენებელზე თუნდაც ორი წინადადება ყოფილიყო. ან რატომ არ უნდა დაინტერესებულიყო დაინტერესებულა მეფის ცხოვრებით, რომელშიც თავისი სიცოცხლე საქართველოს სახელების დაცვასა და ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში გალია. არც საფრანგეთის დიდი მხედართმთავრის, იმპერატორის – ნაპოლეონის ცხოვრება გამოიწვია მხედრობიდან, შესწავლა, შემდეგ საბჭოთა კავშირის დროინდელი ქართული ჯარის შექმნის ისტორიაც შესწავლა. ერთი სიტყვით, თავდაცვის აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად მართლაც რომ დიდი ცოდნით, წინააღმდეგობით დასახული მიზნით შეაღო კარები. აკადემიის ხელმძღვანელობას, ლექტორებს არ გამოიწვიათ მისი ინტელექტი, ცოდნა, დისციპლინა და დღეს მესამე კურსელი გარეჯელი ჯაბუკი აკადემიის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია.

რა ძვირფასია და რამხელა სათქმელს იტევს სამადლობელი ბარათი, რომელშიც მშობლებს წერენ შვილის წარმატებებზე

დახს, დღეს მხოლოდ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსკურსიამდლოლი ლადო გომიბაშვილი და მისი მეუღლე – საგარეჯოს ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილე – კონსტანტინე ჭიბურაშვილი არ განიცდიან სიამაყეს – ჭეშმარიტად მამულიშვილის აღზრდისათვის, ჩვენც – საგარეჯოელებიც ვუერთდებით ამ სიხარულს და გვაქვს სიამაყის გრძნობა, რომ ერთმა გარეჯელმა ბიჭმა, აკადემიის სხვა იუნკერებისაგან განსხვავებით, თანაც კახელმა, თავი გამოიჩინა და მადლობა ათქმევინა მშობლებს სივსის ისეთი სასწავლებლის ხელმძღვანელობას, რომელ სასწავლებელშიც საველე მომზადებაში, დისციპლინაში, ფიზიკურ მომზადებასა და აკადემიურ მოსწრებაში მადალი სტანდარტების საჩვენებლად, მართლაც მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნები.

დათო ჭიბურაშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ფაკულტეტზე გაგზავნეს.

წარმატებები ვუსურვოთ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმეში ახალგაზრდა იუნკერს.



ქალბატონ ლალისა და ბატონ კონსტანტინეს,

სიამა – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და საწარმო ბატალიონის ხელმძღვანელობის სახელით მადლობას გთხოვთ ქვეყნისთვის სიამაყე და სამშობლოს სიყვარულით გამოქვეყნებული შეჯიბრის აღზრდისთვის. რაიგით დავით ჭიბურაშვილი არის ერთ-ერთი გამოჩენილი იუნკერი თავისი აკადემიური მომზადებით, დისციპლინით, ინტელექტითა და აღზრდით.

როგორც მოგახსენებთ, ერთგულთა თავდაცვის აკადემიაში სწავლის შემდეგ სხვადასხვა კომპონენტისგან და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მზადდებოდნენ გამოიწვიათ, საწარმო პროექტის განხორციელებაში იუნკერები გაიყვნენ აკადემიიდან და სასწავლო სანაშენი, რომელიც დათმობა და მზადდებოდა აკადემიური მომზადების უზრუნველყოფის საკმარის რაოდენობა, თუმცა დავითმა შეძლო და მაღალი მაღალი სტანდარტები: საველე მომზადებაში, დისციპლინაში, ფიზიკურ მომზადებაში და აკადემიური მომზადების ყველა მხარეებში. შეთანხმებული და პროფესიონალ-მასწავლებლებმა მას ახასიათებენ ნიჭით, მზადასახელ და მომზადდებოდა იუნკერად.

გვთხოვთ, რომ თქვენს შუალედურ ანგარიშს ასაკიდან გადმოვიტყვი ქვეყნის სამსახურში ჩავეყვანო, რაც თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვანდეთ მისი, როგორც მომავალი ოფიცრის აღზრდა. მადლობას გიხდით გამოცხადებული ნდობისთვის და გისურვებთ ჯანმრთელობას! პატივით,

ბრიგადის გენერალი მანია ბაბალიძე
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

ვიცე-პოლკოვნიკი მანუჩარ ფეხლიშვილი
იუნკერთა სამსახური ბატალიონის მეთაური

[Handwritten signatures]

ქართული ჭიდაობა

ბიორბიწმინდის „ბიორბობაზე“



სულ რამდენიმე წელია რაც გიორგიწმინდაში საფუძვლი ჩაეყარა სოფლის სახელწოდებისა და მფარველის, წმინდა გიორგის დღესასწაულს, რომელშიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებიც იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას. ეს ამბავი ალბათ იმიტომ არის გამოწვეული, რომ დიდი წმინდანის მოსახლეობასთან ერთად, გიორგიწმინდა გახლავთ დიდი ქართველი ფალანგის, მსოფლიოს და ოლიმპიური, ყოფილი სსრკ-ის 18 გზის ჩემპიონის ასრენ მეკოკიშვილის მშობლიური სოფელი. ამიტომაც, ყოველ „გიორგობას“ სოფლის დღესასწაულზე იმართება მისი სახელობის ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ახლანდელი ზეიმი ყოფილა, სადაც ა(ა) იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანებისა“ და სოფლის სპორტგაერთიანებისა“ და სოფლის

ხელმძღვანელობის ძალისხმევით ჩატარდა ტურნირი 2008-2009 წლებში დაბადებულ ჯაბუკებში შედი წონით კატეგორიაში. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ:

- 50 კგ წონითი კატეგორია: 1. **საბა ნოზაძე** (თბილისი, ბაშარელი),
- 55კგ წონითი კატეგორია: 1. **საბა ოდიშაძე** (საგარეჯო), 2.
- 60 კგ წონითი კატეგორია: 1. **ილია ჯაფარიშვილი** (მზისხელი);
- 66 კგ წონითი კატეგორია: 1. **ბიბო კეჭიაშვილი** (გურჯაანი);
- 73 კგ წონითი კატეგორია: 1. **ბიბიანდო ჩალაძე** (ლაგოდეხი);
- 81 კგ წონითი კატეგორია: **საბა სამსიანი** (თეთრიწყარო).

ახსოვსტური წონა – **საბა სამსიანი**.

ახსოვსტურ წონაში გამარჯვებულ საბა სამსიანს დაწესებული ჯილდო – ჭედილა სოფლის სახელით გადასცა გიორგიწმინდის თემში მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულმა გიორგი ჭიბურაშვილმა.

გიორგიწმინდაში გამართულ არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირს და გიორგობის დღესასწაულს ესწრებოდნენმუნიციპალიტეტის მერი **ამთაბერი ბუღიაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილი**, ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანებისა“ დირექტორი **მამუკა კუროლაშვილი**, არსენ მეკოკიშვილის ვაჟი – **ბიორბი ბიორბიშვილი**, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **არბიშ ჯაბაძე**, დედაფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილიდა ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციის პრეზიდენტი – **ბორა ტატიშვილი**.

გიორგი ჯაბაშვილი

9 მაისი – ფაშისეზე გამარჯვების 80 წლისთავი

„კალაბატკა“ ქართველი მეომრების
მამაცობის, სიმტკიცისა და ბუნადობის

გამარჯვება – *ვლადიმერ ჯანაშვილი*

კალაბატკას კაპაბეთელი გმირი



9 მაისს 80 წელი შესრულდა მას

შემდეგ, რაც ქართველმა მელიტონ ქანთარია და რუსმა მიხეილ გეგორემა ბერლინის რაისტაგზე ფაშისმის დამარცხების ნიშნად გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს.. ძალიან ძვირი დაუჯდა კაცობრიობას ამ უპრეცედენტო ომის მოგება, რომელიც თავისი გრანდიოზულობისა და მასშტაბების გამო მეორე მსოფლიო ომად მოიხსენიება.. სხვა ყველაფერზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ომმა 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასე წერენ ოფიციალურად,

თუმცა, ვინ იცის.

ამ ომს არც ქართველებისათვის ჩაუვლია უმსხვერპლოდ. ოჯახი და ადამიანი არ ყოფილა ისეთი, რომლის ნათესავ-ახლობელი, მამა-შვილი, ბიძა-შვილი თუ მოგვარე, ფრონტზე არ გაეწვიათ და თავიანთი სიცოცხლისა და სისხლის ფასად არ დაეცვათ თავისი ქვეყანა და მთელი კაცობრიობა, იმ საშინელი საფრთხისაგან, რასაც მათ გერმანული ფაშისმი უმზადებდათ. ისტორია სასეა ამ ფრონტზე მათ მიერ ჩადენილი გმირობების ამბებით და ომში მონაწილე, ქართველთაგან სამშობლოში თითქმის ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა.

ერთ-ერთი ასეთი მეომრის, თავისი პაპის *კაკაბელი ალექსანდრე ქიტიაშვილის* მიერ ყუბანში , დიდი სტანცია პეტროვსკაიას მახლობლად მდებარე სოფელ კალაბატკაში ჩადენილი გმირობის შესახებ გვიამბო *ა(ა)იპ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ საქმის წარმოების სპეციალისტმა მამა არწიშაძემ, როგორც მან გვითხრა:* ამ სოფლისთვის გერმანელებმა და ქართულ საჯარისო დანაყოფებს შორის გამართულ უთანასწორო ბრძოლაში, ალექსანდრე ქიტიაშვილს ტყვეიამფრტყვევით 44 ფაშისტი მოუკლავს და სამი კი მძიმედ დაუჭრია. დამერწმუნებით ომების ისტორიაში ასეთი რამ იშვიათად ხდება და გადაწყვეტიტე მკითხველისთვისაც გაგვეცნო ეს გმირი – კაკაბეთელი ვაჟკაცი და მის მიერ კალაბატკაში ჩადენილი გმირობა.

ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა იყო მოწინავე კაკაბეთელი კოლმეურნე ალექსანდრე ქიტიაშვილი, როცა ომში გაწვევის უწყება მოუვიდა და მანაც უყოყმანოდ ჩაიკცა სამშობლოს დამცველის ფარაჯა, რათა საქართველო და კაცობრიობა დაეცვა ფაშისტური „შავი ჭირისაგან“, რომელიც კაცობრიობას და განსაკუთრებით ქართველებს გადაშენებით ემუქრებოდა. ალლოიანმა და შრომაში გამოწრთობილმა ვაჟკაცმა ფრონტზე გაწვევიდან მალევე შესწავლა ტყვიამფრტყვევის გამოყენება და თავისი დაზგის ტყვიამფრტყვევიდან მუსრს ავლებდა კავკასიის მისადგომებთან შემოჭრილ გერმანელ ფაშისტებს.

ანაპის 414-ე ქართული წითელდროშოვანი დივიზიის მეთაურობამ, რომლის 1367-ე მსროლელი პოლკის მესამე ბატალიონის მეტყვიამფრტყვევად ირიცხებოდა, 19 თებერვალს დაეკავებინა კალაბატკა, რომელიც რატომღაც გერმანელებს არ დაეკავებინათ და მტრის ზურგში მოქცეულ დივიზიას ფაშისტებისათვის სევისტოპოლისკენ უკან დახვეის საშუალება არ მიეცა და გაენადგურებინა გერმანელები. ცუდი ამინდების გამო, დივიზიამ ორი დღის დაგვიანებით შეძლო ღიმანებითა და ჭაობებით გარშემორტყმულ კალაბატკაში შეღწევა და განთიადისას პოზიციების გამაგრება დაიწყო, როცა გერმანელებმა, რომლებმაც შეიტყვეს თავიანთ ზურგში ქართული ბატალიონის არსებობა, ტანკებითა და კბილებამდე შეიარაღებული მებრძოლებით იერიში მიიტანეს მათზე. მოუზადებელი, ნახევრად-მომზადებულ პოზიციებზე მყოფი ქართველი მებრძოლებისათვის, რომლებსაც არც



საკირო რაოდენობით ტანკსაწინააღმდეგო იარაღით იყვნენ შეიარაღებული, ძნელი იყო გერმანელებთან გამკლავება, მაგრამ არ შეუშინდნენ მათ და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელებს. ამის შემდეგ კალაბატკა ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ბევრი ქართველი მეომრის სამუდამო განსახვენებლად იქცა, მაგრამ ჩვენი მებრძოლები ბოლომდე დარჩნენ თავისი ფიცის ერთგულებით და შეძლეს გერმანელების განადგურება.

აი, რას წერს კალაბატკის ამ ბრძოლებისა და მისი უშუალო მონაწილის **ალექსანდრე ქიტიაშვილის** გმირობის შესახებ თავის წიგნში „414-ე წითელდროშოვანი დივიზიის მეთაურის მოადგილე და პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალი **ვლადიმერ ჯანაშვილი**“:

– კაკაბეთელი (საგარეჯოს რაიონი) მოწინავე კოლმეურნე, 1367-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის მე-3 მეტყვიამფრტყვევთა ასეულის მეტყვიამფრტყვევ ალექსანდრე ანტონის ძე ქიტიაშვილი მშვენიერად შეეწყო (ტიათურის მალაროელს) წითელარმიელ გერვასი დავითის ძე ცხოვრებადეს, რომელიც მასთან ერთად მეორე ნომრად იყო. ორივემ კარგად შეისწავლა იარაღი და მოწინააღმდეგეს მედგრად ურტყამდნენ.

ამ შესანიშნავმა ორეულმა განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინა კალაბატკაში, 21 თებერვალს მათ ზუსტი ცეცხლით დაადუმეს მტრის ნაღმტყორცნი, რომელიც სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა ჩვენებს, გაფანტეს ქვეითთა დიდი ჯგუფი და მოსპვეს 20 პიტლერელი. ასევე, გმირულად იბრძოდნენ ისინი 22 და 23 თებერვალს და მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს.

24 თებერვალს მტერი კვლავ იერიშზე გადმოვიდა. პიტლერელი მეავტომატეები ტანკების საფარქვეშ მცელავი ცეცხლით იკაფავდნენ გზას და წინ მოიწვედნენ, ცდილობდნენ ზურგიდან შემოეფლოთ ჩვენებისთვის. ქიტიაშვილმა და ცხოვრებადემ მეავტომატეებს ძლიერი და ზუსტი ცეცხლი შეაგებეს, დიდი ზიანი მიაყენეს და მოწინააღ-

დასასრული მე-7 გვერდი

9 მაისი – ფაუზიზმე ბამარჯვების 80 წლისთავი

„კალაბატკა“ ქართველი მეომრების
მამაცობის, სიმტკიცისა და გულალობის
ბამარჯვებაა *ვლადიმერ ჯანჯღავა*
კალაბატკას კაკაბეთელი გმირი
დასასრული



მღვდის წინ წამოწევა შეაფერხეს. მაგრამ მტერმაც შენიშნა მათი ტყვიამფრქვევი, მიზანში ამოიღო და ტანკიდან პირდაპირი დამიზნებით რამდენიმე ყუმბარა ესროლა. ორივე მეტრძოლი მოკვდა თავის პოსტზე – პირით მტრისაკენ. სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე ქიტიაშვილი დაჯილდოებულ იქნა დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით. ხოლო გერვასი ცხოვრებად – წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ალექსანდრე ქიტიაშვილის გმირობის და მისი უკანასკნელი ბრძოლის შესახებ საინტერესო ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას 1944 წლის

5 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში“. „მეთევზეთა სოფელი კალაბატკა აზოვის ზღვასთან მდებარეობს. კალაბატკამ ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. კალაბატკა ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ბოლოს ისევ ქართველებმა დაიკავეს და დამე იქ დაბანაკდნენ. 24 თებერვალს გამოთენისას განახევრებულ ბატალიონს მოულოდნელად გერმანელთა 18 ტანკი და ჯარისკაცები შემოეწვევნენ და ალყაში მოაქციეს. ჩანდა, ან გუშაგებს ჩაეძინათ ან დამით უწუმრად დაეხრცათ, ამიტომ ზოგიერთმა ათეულმა საომარ პოზიციებზე გამაგრებად ვერ მოასწრო.

ალექსანდრე ქიტიაშვილი და მძაფრადივი გერვასი ცხოვრებად გათენებამდე წავიდნენ და სოფლის თავში ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტის მომზადებას შეუდგნენ. ჯერ კიდევ სანგარს თხრიდნენ, რომ ტანკების გრუხუნი გაიგონეს და მალე ფშანებიდან 5 ტანკი გამოჩნდა. ტანკები ცდილობდნენ სოფელი შუაზე გაეყოთ და ქართული ქვედანაყოფი ერთმანეთისაგან მოეწყვიტათ. ამ დროს ქიტიაშვილის სანგართან ერთი მეტრძოლი მივიდა და უთხრა, – პოზიცია გამოცეცალათ, რადგან ტანკები მათკენ მოდიოდნენ და ადვილად გასრესდნენ ტყვიამფრქვევის ბუდეს, მაგრამ ქიტიაშვილი და ცხოვრებად ადგილზე დარჩნენ. . როცა ეს ბრძოლა დამთავრდა და ქიტიაშვილის სანგარი დათვალიერეს, დახოცილი ქართველი მეომრების ირგვლივ 44 მოკლული და 3 დაჭრილი გერმანელი იპოვეს. ამ დაჭრილი გერმანელებისგან გაირკვა, რომ იერიშზე წამოსული ტანკები ქიტიაშვილმა და ცხოვრებადმ თავის გაუმჯობესებლად გაატარეს, შემდეგ კი ზურგში მოქცეულებმა გერმანელ მეავტომატეებს გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს, რითაც დიდი დახმარება გაუწიეს სოფელში დარჩენილ მეავტომატეებს, რადგან უჯაროდ დარჩენილი ტანკების გამკლავება ადვილად შეიძლებოდა. ასე შესწირეს ქიტიაშვილმა და ცხოვრებადმ თავი თანამებრძოლების გადარჩენასა და სამშობლოს დაცვის საქმეს.

მოგვიანებით **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**, რომელსაც ომის დროს ჟურნალისტური საქმიანობა უწევდა, თავისი მოთხრობების III ტომში უფრო დეტალურად აქვს მოთხრობილი კალაბატკაში **ალექსანდრე ქიტიაშვილის** გმირობის ამბავი ნარკვევში **„ქიტიაშვილის ხოხობი“**. ხოხობს, როგორც ჩანს ქიტიაშვილი თავის ტყვიამფრქვევს ეძახდა. ნარკვევის ბოლოს ვკითხულობთ:

ამ წუთიდან მოკიდებული, ბრძოლის დამთავრებამდე, ეს ორი კაცი ცოცხალი არავის უნახავს. როგორ იბრძოდნენ, როგორ დაიხოცნენ. როგორ უჭირდათ ამ დაუმთავრებელ სანგარში დარჩენა და მაინც დარჩნენ! არ ჰყავს მოწმე მათი ცხოვრების უკანასკნელ წუთებს.

შუადღისას ეს ავადმოსავონარი სოფელი ისევ ჩვენებმა დაიკავეს. ნაომარი ადგილები რომ მოიარეს, ქიტიაშვილის სანგრის ახლომახლო ორმოცდაოთხი მოკლული და სამი დაჭრილი გერმანელი იპოვეს. სწორედ ამ დაჭრილებმა უამბეს ბატალიონის მეთაურს: „ჩვენ კინადამ ჭკუაზე შევიშალეთ, ტანკების უკან ესენი რომ გამოგვიტყნენო, იერიში ჩაგვეშალა, მიწაზე დავექით და და მოელი საათი ამ ერთ ტყვიამფრქვევს ვებრძოდითო.“

დაჭრილები რომ დაჰკითხეს და ქიტიაშვილის სანგარიც შეისწავლეს, ცოტა თუ ბევრად მაინც აღადგინეს ბრძოლის სურათი.

ქიტიაშვილს ძალიან უბრალო და ამავე დროს ძალიან გაბედული გზა აურჩევია, ვიდრე ტანკები მისი პოზიციის ხაზს არ გადალახავდნენ, ჩუმად ყოფილიყო; არც სროლით, არც რაიმე მოძრაობით თავი არ უნდა გაემჟღავნებინა. მერე კი როცა ტანკები მის სანგარს გასცდებოდნენ, ტყვიამფრქვევით სწრაფად დარეოდა ტანკების უკან მიმავალ ფაშისტებს – ამით ის დიდ დახმარებას გაუწევდა თავის ამხანაგებს, ახლა იქ სოფელში მტრის დასახვედრად რომ ემზადებოდნენ. უჯაროდ დარჩენილ ტანკებს ხალხი ადვილად გაუმკლავდებოდა.

სანგრის პირს მუხლუხის ნაკვალევი აჩნდა. ეტყობა ერთმა ტანკმა თავზე გადაუარა დაუმთავრებელ ბუდეს. ამას გაძლება არ უნდოდა!

მაგრამ ქვიანმა ნიადაგმა ტანკის სიმძიმეს გაუძლო, მხოლოდ ერთგან ჩამოიქცა მიწა. რკინის მუხლუხები ბეწვზე ასცდა ქიტიაშვილისა და ცხოვრებადს. მაშინ კი დაიძახებდა კახელი ბიჭი, აბა ჩემო ხოხობო, ახლა კი შენ მიშველე, შენ გენაცვალეო...

ქიტიაშვილი და ცხოვრებად სულ ტყვიით იყვნენ დაცხრილული. ბატალიონის მეთაური ჯერ გააოცა ამ ამბავმა – სანგარში ჩამჯდარ ჯარისკაცს ტერფზე ან წვივზე ტყვია საიდან უნდა მოხვედროდა! მერე კი მიხვდა – ისინი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, როდესაც მათი შეუპოვრობით გააგებულმა ფაშისტებმა ერთხელ კიდევ დაეყარეს ტყვია...

დათვალეს ტყვიამფრქვევიდან მიმოფანტული ცარიელი ვაზნები. 700 დახარჯული ვაზნა, როგორც 700 რკინის ყვავილი ამკობდა მძაფრადივიცების ღია საფლავს...

მოკლედ ასეთია კალაბატკას მეტრძოლი გმირი კაკაბეთი ვაჟაკის თავგადასავალი, რომელმაც სამშობლოსა და მომავალ თაობების ბედნიერი ცხოვრებისათვის გასწირა თავი და სამუდამო განსვენებული ამ მიწაზე პოვა. ქართველ ხალხთან ერთად მისი გმირობით და ვაჟაკობით მუდამ შეუძლიათ იამაყონ მისმა 4 შვილის შთამომავლობამ, რომლებიც მრავლად ცხოვრობენ ჩვენს მუნიციპალიტეტსა და დედაქალაქში და მისი ეს ღვაწლი კიდევ დიდხანს იქნება დაუვიწყარი საქართველოს მომავალი თაობებისათვის.

გიორგი ლაბახიშვილი

სკორტი

„მეგობრობის თასი“

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე ფეხბურთში „მეგობრობის თასზე“ ამხანაგური მატჩი გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდა **იორმუდანლოს თემის** და **ქალაქ საგარეჯოს** ახალგაზრდების ნაკრები გუნდები.

ანგარიშით 3:0 დასრულდა. გამარჯვება მოიპოვა ქალაქ საგარეჯოს ნაკრებმა და „მეგობრობის თასს“ დაეუფლა. ორივე გუნდის ფეხბურთელებს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სამაჩსოვრო მედლები გადაეცათ.



ფეხბურთი

„ბარეჯი-1960“-ის პირველი ნაბიჯები პირველ ლიბაში



სულ რამდენიმე წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა გარეჯული კლუბი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიბაში იქნებოდა და თანაბარ ბრძოლებს გაუმართავდა ქართული ფეხბურთის ისეთ ლეგენდარულ გუნდებს, როგორიც თუნდაც თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“, ალბათ მასხარად აიგებდნენ და მართლებიც იქნებოდნენ, რადგანაც ფეხბურთი არც არასდროს ყოფილა გარეჯაზეთში სპორტის წამყვანი სახეობა და ვერც ვიფიქრებდით, რომ ოღესმე პოპულარობით დაეწეოდა თუნდაც ჭიდაობას, მაგრამ ეს მოხდა და დღეს „გარეჯი-1960“ უკვე საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის წევრია და ბრძოლებში არაფერს უთმობს თუნდაც იგივე „დინამოს“ და „ტორპედოს“, თუმცა, რა თქმა უნდა, უჭირს გრანდებთან ბრძოლა, რადგანაც ახლა ადაპტაციის პერიოდი აქვს.

ჩვენ უკვე ვიწვევებით „გარეჯის“ პირველი მატჩების შესახებ, პირველი გამარჯვების შესახებაც მოგიხსნათ, თუმცა ჩვენი გაზეთის გრაფიკიდან

გამომდინარე ვერ ვახერხებთ ოპერატიული ინფორმაციის მოწოდებას, ამიტომ მიმოხილვითი ხასიათის სტატიებს გთავაზობთ. ჩვენ ასევე დავანონსეთ ინტერვიუ გუნდის პრეზიდენტ ლაზარე დათუნაშვილთან, თუმცა დღემდე ვერ მოვახერხეთ მისი ჩაწერა იმის გამო, რომ ბ-ნი ლაზარე მთლიანად გუნდის პრობლემების მოგვარებაზეა კონცენტრირებული და რადგანაც მატჩებს საგარეჯოში ვერ ატარებს სტადიონის გამო, მატჩების სიხშირიდან გამომდინარე სპეციალურად საგარეჯოში ჩამოსვლა ინტერვიუსათვის ვერ მოახერხა, წუხილიც გამოთქვა ამის გამო, თუმცა დაგვიპირდა, რომ უახლოეს დღეებში შეძლებს ჩვენთან შეხვედრას და გუნდის დღევანდელ მდგომარეობაზე, ასევე მომავლის გეგმებზე ამომწურავად საუბარს.

ახლა კი „გარეჯის“ რამდენიმე მატჩის შესახებ მოგიხსნათ.

როგორც უკვე ვიწვევებით, „გარეჯი-1960“-მა პირველი გამარჯვება „კოლხეთი-1913“-თან მოიპოვა, რომელიც ასევე ქართული ფეხბურთის დიდი ტრადიციების მქონე გუნდია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყნის ჩემპიონატის პირველი მატჩი გადაჭედდა დინამოს სტადიონზე ფოთისა და დინამოს გუნდებს შორის შედგა და იმ მატჩში ფოთელებმა გაიმარჯვეს. აქვე მოვლენებს გაუხსწრებთ და გეტყვით, რომ მეორე ტურის მატჩი ფოთელებთან „გარეჯმა“ ასევე წარმატებით ჩაატარა და ამჯერად 4:1 დაამარცხა მეტოქე.

საქართველოს ჩემპიონატის XIII ტურის ეს შეხვედრა თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შედგა, სადაც „გარეჯი-1960“ სამთბო მატჩებს ატარებს.

ანგარიში მე-18 წუთზე **ზაზო პალოშვილი** გახსნა **პაპანა მისაშვილის** პასის შემდეგ. 38-ე წუთზე კი უკვე გარეჯელთა ბომბარდირმა და კაპიტანმა **ლევან პაპაშვილი** გამოიჩინა თავი და პენალტით ანგარიში ორამდე გაზარდა. 59-ე წუთზე **ზაზო პალოშვილი** დუბლი შეასრულა **ზრანსა ურნაოლოს** პასის შედეგად, ხოლო 89-ე წუთზე უკვე **მათე ძოგბითიანმა** მატჩის საბოლოო წერტილი დასვა, როცა მეოთხეჯერ აიღო ფოთელების კარი.

გარეჯისთვის იღბლიანი გამოდგა XII ტურიც, როცა წყალტუბოს სამეურაღს სძლია 2:1 და მოუგებელი მატჩების სერია შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ მე-9 ტურიდან „გარეჯი-1960“-ის **მთავარი მწვრთნელი ბიორბი მიტაძე**, რომელმაც პირველივე მატჩში შეძლო ქუთაისის „ტორპედოსთან“ ქულის მოპოვება. ამ მატჩში გარეჯელებს მოგებად შეეძლოთ და რომ არა დამატებულ წუთებში გაშვებული გოლი, სამ ქულასაც მოიპოვებდნენ. და საერთოდაც გარეჯმა რამდენიმე მატჩში სწორედ უკანასკნელ წუთებზე გაუშვა გოლები, რაც პირველ ლიგასთან ადაპტაციისა და შესაბამისად, გამოუცდებლობასთან უნდა იყოს კავშირში, რაც თანდათან გამოსწორდება.

და ბოლოს – XIV ტურის მატჩზეც უნდა მოგიხსნათ, რომელიც „გარეჯი-1960“-მა თბილისის დინამოსთან გამართა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში „დინამო“ საგრძნობლად გაძლიერდა და რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი დაიმტკიცა.

დინამოელებმა ანგარიში პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე გახსნეს. ეს ნიკა ნინუამ გააკეთა. 51-ე წუთზე კი ცნობილმა ფეხბურთელმა ვალერიან გვილიამ ორამდე გაზარდა ანგარიში. გარეჯელებმა მალევე – 61-ე წუთზე შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ალბათ ფეხბურთის გულშემატკივრებიც დაგვეთანხმებიან, რომ საერთოდ მსოფლიო ფეხბურთში და ჩვენთანაც მსაჯები ყოველთვის ცნობილი გუნდების მიმართ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებენ და დებიუტანტებს ჩაგრავენ. გარეჯის მიმართაც რამდენიმე მატჩში ასეთი საეჭვო გადაწყვეტილებების გამო დაზარალდა ჩვენი გუნდი.

ამ შეხვედრის შემდეგ „გარეჯი-1960“ მერვე ადგილზეა და შემდეგ მატჩს 16 მაისს „თელავთან“ გამართავს.

ზურაბ აბულაშვილი

30 აპრილი - ბიბლიოთეკათა პროფესიული დღეა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბუღიაშვილმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოღვაწე ყველა ბიბლიოთეკარს პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

კულტურის სახლის მცირე დარბაზში მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო საინფორმაციო მიმოხილვა საგარეჯოს ბიბლიოთეკების ისტორიის შესახებ, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე იქნა აგებული.

“მინდა მიეულოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკარს პროფესიული დღე.

ეს დღე არის ერთგვარი სიმბოლო, რომ კიდევ ერთხელ გააცნობიეროთ ამ დარგის მნიშვნელობა და წიგნისადმი დამოკიდებულება. ჩვენი მიზანია, რომ მკითხველებსა და დარგის სპეციალისტებს შევუქმნათ კომფორტული და სასიამოვნო გარემო, რათა მომავალმა თაობამ კიდევ უკეთ გააცნობიეროს ამ სივრცის მნიშვნელობა და ფასეულობა.

ღვაწდომოსილო ბიბლიოთეკარებო, გილოცავთ, თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით საზოგადოების სულიერი და კულტურული განვითარების საქმეში და მე ვისურვებდი - თქვენი შემოქმედებითი შთაგონება და სურვილი არ გაქრეს, რომ ადამიანებს აჩუქოთ სითბო და სიყვარული” განაცხადა ავთანდილ ბუღიაშვილმა



მიულოცეს ექთნის საერთაშორისო დღე

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბუღიაშვილმა, ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 99 წლის ღვაწდომოსილი მედლა თინათინ მუხომეიშვილი მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

მერი ღვაწდომოსილ მედლას ესტუმრა და მას მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სისტემაში მრავალწლიანი წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

“ქალბატონი თინათინი 52 წელი ერთგულად ემსახურა თავის პროფესიას. მას სხვადასხვა დაწესებულებაში სამედიცინო საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. დღევანდელი დღე შესანიშნავი შესაძლებლობაა, დაგვასოთ ჩვენი ექთნების ფასდაუდებელი წვლილი, მათი პროფესიონალიზმი და ერთგულება პაციენტების მიმართ. გულოცავ ქალბატონ თინათინს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და მხნეობას”, - აღნიშნა ავთანდილ ბუღიაშვილმა.



ქეთი ბრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

სპორტი

ტურნირი „საბარეჯო cup-2025“

საბარეჯოს ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის ტურნირში “საგარეჯო cup-2025” მონაწილეობას იღებდა



საგარეჯოს გუნდები.

სტუმრებს შორის საპატიო ადგილი ეკავათ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს ავთანდილ ბუღიაშვილს, საკრებულოს თავჯდომარეს ალექსი გილაშვილს, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა პრეზიდენტს და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს.

170-მდე ტანვარჯიშე (მწვერთ-ნელი მედლა მუკუა).

ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ: ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ონის, თბილისის, რუსთავის, თელავის და

ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ტანვარჯიშეებს საკმაოდ წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ.

შეჯიბრში მონაწილეებმა დაიკავეს შემდეგი ადგილები:
I ადგილი: ნანტა გრატიაშვილი, ქეთევან კურდულაშვილი, დადი კურდულაშვილი, ბარბარე გიქორაშვილი, მარიამ ელიზარაშვილი, ნინო დავითაშვილი;

II ადგილი: ანასტასია ჩერქეზიშვილი, თამუნა ბეჟიაშვილი, ელენე მამისაშვილი;

III ადგილი: ანასტასია ქარსაულიძე, მარიამ წიკლაური, ელენა ბორაშვილი, ლიზი მეოკიშვილი, ნინი ასრათაშვილი, თეკლა ყორღანაშვილი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;

საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,

დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში

დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრეს“-ში.

ტელეფონი: 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com